

2-576

სსიპ - საქართველოს სტანდარტების,
ტექნიკური რეგლამენტების და
მეტროლოგიის
პროფესიული სააგენტო



LEPL - National Agency
for Standards, Technical Regulations
and Metrology
of Georgia

0141, თბილისი, ჩარგალის ქ. № 67,
ტელ / ფაქსი (+99532) 61 35 00

67 Chargali Str. 0141, Tbilisi, Georgia
Tel / Fax (+99532) 61 35 00

19.11.09 № 648

თქვენს №1-173 04.11.09წ.
წერილზე

საქართველოს სტრატეგიული კელეისა და
განვითარების ცენტრის აღმასრულებელ
დირექტორს
ქ-ნ ე. ურუშაძეს

ქალბატონო ეკა,

გაცნობებთ, რომ:

1. მსოფლიო საეაჭრო ორგანიზაციის "ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ" 1995 წლის 15 აპრილის შეთანხმების 1-ელ დანართში მოცემული განმარტებების შესაბამისად სტანდარტები განისაზღვრება, როგორც ნებაყოფლობითი გამოსაყენებლად, ხოლო ტექნიკური რეგლანტები, როგორც საეალდებულო. ტექნიკური რეგლამენტები კი თავისი არსით წარმოადგენს ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებულ ლოკუმენტს, რომელიც ადგენს ტექნიკურ მოთხოვნებს პროდუქციაზე ან მომსახურებაზე.

შესაბამისად შეთანხმებისა მე-2 მუხლის თანახმად საქართველოშიც მოქმედი სტანდარტების გამოყენება ნებაყოფლობითია, ხოლო საეალდებულო სტანდარტიზაცია ხორციელდება "პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენის გზით.

2. საქართველოში სტანდარტების ნებაყოფლობითი გამოყენების შემოღების შემდგომ არ განხორციელდა ამ პროცესის ტექნიკური რეგულირება ტექნიკური რეგლამენტების დადგენის გზით. "სტანდარტიზაციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად სტანდარტის შემუშავების უფლება მიეცა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, მაგრამ არც ამ კანონში და არც სხვა კანონქვემდებარე აქტებში სამართლებლივად არ დადგინდა, რომ საქართველოს სტანდარტი უნდა შემუშავდეს მსოფლიო საეაჭრო ორგანიზაციის "სტანდარტების შემუშავების, მიღებისა და კეთილსინდისიერი ქმედების კოდექსით" დადგენილი წესების შესაბამისად, სადაც მოცემულია ის პრინციპი, რომელსაც თქვენ მიუთითებთ: "სტანდარტების შემუშავების საფუძველია საერთაშორისო სტანდარტები ან დასრულების სტადიაში მყოფი მათი პროექტები".

3. მეწარმეები თავის მხრივ მოქმედი კანონმდებლობის დაცვით შეიმუშაებენ მეწარმე სუბიექტის სტანდარტებს და “სტანდარტიზაციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებული პროცედურების გაელის შენდევ გამოიყენებენ სტანდარტებს, “პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7, მე-8 და მე-9 მუხლების შესაბამისად უზრუნველყოფენ მათ უსაფრთხოებას, ახდენენ მის დეკლარირებას შესაბამისობაზე და კისრულობენ პასუხისმგებლობას შესაბამისობაზე.

ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებულ ამ სტანდარტებზე “სტანდარტიზაციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-4 მუხლის შესაბამისად ვრცელდება საავტორო და მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დებულებები.

საქართველოს ეროვნული სტანდარტის სსგ 1.4: 2006 “მეწარმე სუბიექტის სტანდარტი. ძირითადი დებულებები” 9.10 პუნქტის შესაბამისად მეწარმე სუბიექტის სტანდარტის მოქმედება შეწყდება, თუ:

- მოცემულ პროდუქციაზე მიღებულ იქნა საქართველოს ეროვნული სტანდარტი და მეწარმე სუბიექტის სტანდარტის გადასინჯვისას დადგინდა, რომ მეწარმე სუბიექტის სტანდარტის მოთხოვნები არ შეესაბამება მიღებული ეროვნული სტანდარტის მოთხოვნებს;
- ამას ითხოვს მეწარმე სუბიექტი.

4. პროდუქცია დასახელებით “კარაქი კომბინირებული” საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე მრავალი წლის განმავლობაში არსებობს და მისი ეს არსებობა გამოწვეული იყო იმ მომენტებით, რაც შემოთ აღინიშნა. იმის გათვალისწინებით, რომ ამ პროდუქციის წარმოება უსაფრთხოა, მისი წარმოების მყისიერი შეწყვეტა გამოიწვევს უკონტროლო ქმედებებს სამომხმარებლო ბაზარზე. მიზანშეწონილად ეთვლით, საქართველოს მთავრობამ ან სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანომ გამოსცეს ტექნიკური რეგლამენტი, სადაც გარკვევით იქნება აღნიშნული “კომბინირებული კარაქის” წარმოების საქართველოს ტერიტორიაზე დაუშვებლობის შესახებ, ამასთან ერთად გათვალისწინებული უნდა იქნას გარდამავალი პერიოდი, რათა მეწარმეებმა მოახდინონ მაგერიალური რესურსების დანაკარგების თავიდან აცილება.

ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული პროდუქციის (მომსახურების) წარმოების სფეროში ტექნიკური რეგულირების სავალდებულო სისტემის დამკვიდრება ხელს შეუწყობს წარმოების სექტორისადმი მომხმარებლის ნდობის ამაღლებას.

პატივისცემით,
სტანდარტების და ტექნიკური
რეგლამენტების დირექტორი

ა ბოროხოვიჩი